ოქმი:**ო37. 3723271001**

თარიღი:**28/09/2023**

ოქმი N 19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 26 სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

12:00-13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, ნ. ჭანიშვილი, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განკარგულების პროექტის უკან გაწვევის გამო, ითხოვა დღის წესრიგიდან N1 საკითხის ამოღება, ამ ცვლილებით, ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ქ. ოზურგეთში, ე. ნინოშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი : ბექა თოიძე

ამოღებულ იქნა დღის წესრიგიდან მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პროექტის უკან გაწვევის გამო.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის“დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი

პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

4. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

გადაწყვიტეს:

ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 2,3,4 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე